აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ოქმი #3

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1 09 მარტი 2023 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.დავით ცანავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

2. მურთაზ ჯალაღონია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

3. იაგო თოდუა- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

4. დიმიტრი ვერულაშვილი-აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დავით ცანავამ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მოისმინეს:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ცანავა

აზრი გამოთქვეს: მურთაზ ჯალაღონიამ, დიმიტრი ვერულაშვილმა და იაგო თოდუამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,დ.გ'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,, განკარგულების პროექტი ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:

2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დ.ცანავა

აზრი გამოთქვეს: დ. ცანავამ, დ. ვერულაშვილმა და იაგო თოდუამ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,დ,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 88 -ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს:

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი : დ.ცანავა

აზრი გამოთქვეს: დ. ცანავამ, დ. ვერულაშვილმა .

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე-4 წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: /დ. ცანავა/